

სახელმწიფო შესყიდვების არსებული სისტემის შეფასება:
შეუსრულებელი ტენდერების გამომწვევი მიზეზები და მათი
აღმოფხვრის პერსპექტივები

ირაკლი სურმავა

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნოდარ ტანგიაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

განაცხადი

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომის ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და ის არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომელიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ირაკლი სურმავა

2018 წელი

აბსტრაქტი

სახელმწიფო შესყიდვები, ეს არის სისტემა, რომლის საშუალებითაც ნებისმიერი ქვეყნის ხელისუფლება ახორციელებს სხვადასხვა სახის და ტიპის პროდუქტის შესყიდვას, როგორც საქონლის, ასევე მომსახურების. იქნება ეს უბრალო საკანცელარიო კალმის შეძენა, თუ ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მშენებლობა. გამომდინარე აქედან, შესყიდვების როლი სახელმწიფო სტრუქტურების მუშაობისათვის საჭირო და აუცილებელი კომპონენტია, რომელსაც გავლენა აქვს, არა მხოლოდ სამთავრობო ინსტიტუტების საქმიანობაზე, არამედ ზოგადად ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ და ბიზნეს კონიუნქტურაზე.

გამომდინარე იქედან, რომ სახელმწიფო შესყიდვების პროცესში საქმე გვაქვს საბიუჯეტო (საზოგადოების) თანხების ხარჯვასთან, სწორედ ამ რესურსის რაციონალური და მიზანმიმართული განკარგვა გახლავთ, შესყიდვების ნებისმიერი სისტემის უმთავრესი ამოსავალი წერტილი.

ამდენად საჭირო ხდება, საქართველოში გატარებული ადმინისტრაციული რეფორმების გააზრების კვალდაკვალ, იმ პროექტების ეფექტურობის შემოწმება, რომლებიც წარმატებულებად არიან მიჩნეული და მათ შორის სწორედ საქართველოს შესყიდვების სისტემაც შედის.

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია კვლევის სახით, სადაც განხილულია საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სისტემის ზოგადი მდგომარეობა. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა, სახელმწიფო შესყიდვებთან, კერძოდ კი ელექტრონულ ტენდერებთან დაკავშირებულ საკითხებს. სისტემის დასახასიათებლად გამოყენებულია, შესყიდვების სააგენტოს მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები, რომელთა გაცნობის შემდგომ გამოიკვეთა ისეთი პრობლემები, როგორცაა კონკურენციის დაბალი დონე, პირდაპირი შესყიდვების მაღალი მაჩვენებელი, წლის მანძილზე შემწყდარი, არ შემდგარი ან უარყოფითი შედეგით დასრულებული ტენდერების დიდი წილი მთლიან რაოდენობაში, წლის ბოლო თვეში გამოცხადებული ტენდერების რაოდენობების ზრდა და სხვა.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემატური საკითხებისა, ნაშრომის ძირითადი ნაწილი ეთმობა ქვეყანაში შეუსრულებელი ელ. ტენდერების მხარეს. მათი გამომწვევი მიზეზების ძიებისა და აღმოფხვრის გზებს. მოცემული პრობლემის ძირეული შესწავლისათვის, კვლევის ფარგლებში შეირჩა, ბოლო ერთი წლის მანძილზე ქვეყნის მასშტაბით შეუსრულებელი 347 ტენდერის დოკუმენტაცია. მიღებული მონაცემების დამუშავებისა და ანალიზის შედეგად დადგინდა: 15%-ზე მაღალი, საწყისი სატენდერო ფასის კლება შეიძლება ჩაითვალოს რისკ ჯგუფად, რომ ტენდერის შესრულება ვერ მოხერხდება, ფინანსური სახსრების უკმარისობის გამო. ასევე, ჯერ კიდევ დაბალი რჩება კერძო სექტორში მოღვაწე იმ სუბიექტების (მეწარმეები, კომპანიები) პროფესიონალური/ბიზნეს ეთიკის დონე, რომლებმაც ვერ უზურუნველყვეს მათზე დაკისრებული სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება.

ნაშრომში აგრეთვე მოყვანილია ევროპის ქვეყნების (პოლონეთი, ესტონეთი სლოვაკეთი) შესყიდვების სისტემების ძირითადი თავისებურებებისა და მახასიათებლების შესახებ ინფორმაცია და შეფასებები, საქართველოს შესყიდვების სისტემასთან პარალელების გავლების ჭრილში.

ძირითადი საძიებო სიტყვები:

სახელმწიფო შესყიდვები, შესყიდვების სააგენტო, ელექტორული ტენდერები, შემსყიდველები, მიმწოდებლები, პრეტენდენტები, კონკურენცია, ფასის კლება, „შავი სია“, „თეთრი სია“

Abstract

Public procurement is a system through which the government of any country procures various types of products as well as goods and services. Whether it's a simple example of purchasing stationery pen or construction of a highway. Therefore, the role of procurement is a necessary and obligatory component for the work of the public sector, that affect not only the activities of government institutions, but furthermore the economic and business conjuncture of the country.

Due to the fact, that in the public procurement implies the expenditure of the public (society) budget, the starting point of any state procurement is definitely to rationalize and to manage those resource.

Therefore, it becomes necessary to follow in the footsteps of understanding administrative reforms of Georgia, to examine the efficiency of those projects that are considered successful, including the procurement system of Georgia.

The Master's Thesis, will be represented as a research, where will discuss the general situation of the State procurement system. Particular attention will be paid to the public procurement, principally those related to electronic tenders. For describing the system will be used the official statistical data published by the agency, after the examination, some problems will be revealed, such as low level of competition, the high rate of direct acquisitions, terminated tenders throughout the year, or tenders with negative result which has big share in total number, increased number of tenders announced in the last month of the year at al.

Besides the problematic issues mentioned above, the main part of the work is dedicated to the unfulfilled electronic tenders of the state, the ways of searching the causes for overcoming those issues and solving the problems. For a basic study of this problem, within the research, 347 non-compliant tender documentation of the past year has been selected. As a result of the processing and analyzing the received data, was established: decreasing the initial tender price may be considered as a risk group, if it is higher than 15%, for the reason that the tender will not be implemented due to the lack of financial resources.

Moreover, the level of professional / business ethics of entrepreneurs (entrepreneurs and companies) in the private sector is still low, therefore, inability to provide the contractual obligations imposed on them could be a challenge.

The Master's Thesis also provides information and assessments of the main features and characteristics of procurement systems in European countries (Poland, Estonia, Slovakia) in terms of parallel to the Georgian procurement system.

Main keywords: Public Procurement, Procurement Agency, Electronic Tenders, Purchasers, Suppliers, Candidates, Competition, Price Reduction, "Black List", "White List"